ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 13

28.11.2019

დღის წესრიგი:

1. კურსდამთავრებულ მარიამ კაკუბერის წარდგინება
2. ხ. მარწყვიშვილის შემოქმედებითი მივლინების შესახებ
3. იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის პროფესორების დამატებითი ანაზღაურების საკითხის დაზუსტება
4. სადისერტაციო კომისიის დაკომპლექტების საკითხები
5. ფსიქოლოგიური კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის დირექტორის არჩევა
6. დაწყებითი განათლების სტუდენტებისთვის 4 კვირაზე ინდივიდუალური გეგმის შემუშავება; მულტილინგვური განათლების სტუდენტებისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება 2 კვირაზე *(დაწყებითი განათლების (31 დეკემბერი) და მულტილინგვური განათლების (13 დეკემბერი) საბაკალავრო პროგრამებს აკრედიტაციის ვადა ეწურება)*
7. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორები :

ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, მანანა მელიქიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ირინე ჟვანია, მედეა დესპოტაშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლილი ხეჩუაშვილი, შორენა მამუკაძე.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი:

ქეთევა ჭკუასელი

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, ეთერ ღვინერია

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:

მარიამ ბექაური, მარიამ ხოშტარია, დიანა ზვიადაძე, მარინა ბორჩაშვილი, ქეთევან ცანავა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ესწრებოდა 19 **წევრი.**

განიხილეს:

1. **წარდგინება:**

   ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც, პროფესორმა ი. ჟვანიამ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი. პირველი საკითხი ეხებოდა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის კურსდამთავრებულისთვის მარიამ კაკუბერისათვის სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფსიქოლოგიაში მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომის მიცემის საკითხს. ამასთან დაკავშირებით მოკლე განმარტება პროფესორმა თამარ გაგოშიძემ და კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს.

კენჭი უყარეს წინადადებას: მიენიჭოს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2019 წლის კურსდამთავრებულს - მარიამ კაკუბერს (სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია; დიპლომი ჩვეულებრივი).

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიენიჭოს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2019 წლის კურსდამთავრებულს - მარიამ კაკუბერს (სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია; დიპლომი ჩვეულებრივი).

2. **ხათუნა მარწყვიშვილის შემოქმედებითი მივლინების შესახებ**

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ასოცირებულმა პროფესორმა ხათუნა მარწყვიშვილმა მოიპოვა ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი გრანტი, რომლის ფარგლებშიც კვლევითი ვიზიტით მიწვეულია გრაცის უნივერსიტეტში. პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მიულოცა ასეთი პრესტიჟული გრანტის მოპოვება და აღნიშნა, რომ ეს დიდი წარმატებაა მთელი ფაკულტეტისათვის. ავსტრიაში ვიზიტის გამო ასოცირებულმა პროფესორმა ხათუნა მარწყვიშილმა მოითხოვა სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება.

კენჭი უყარეს საკითხს: ასოცირებულ პროფესორს ხათუნა მარწყვიშვილს მიეცეს სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება 2020 წლის 13 იანვრიდან 29 თებერვლის ჩათვლით.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიეცეს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება ასოცირებულ პროფესორს ხათუნა მარწყვიშვილს 2020 წლის 13 იანვრიდან 29 თებერვლის ჩათვლით.

3. **იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის პროფესორების დამატებითი ანაზღაურების საკითხის დაზუსტება**

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ანაზღაურება დამტკიცებულ იქნა საბჭოს მე-4 სხდომაზე, თუმცა არ იყო დაზუსტებული როგორ მოხდება ანაზღაურება, თუ სტატიას ერთზე მეტი ავტორი ჰყავს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან. ეს საკითხიც უნდა დარეგულირდეს. როდესაც სტატიის ავტორები არიან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მაშინ ფინანსური ჯილდო თანაბრად უნდა განაწილდეს. ფაკულტეტის საბჭოს წევრებისათვის ეს რეგულაცია მისაღები აღმოჩნდა.

კენჭი უყარეს წინადადება: იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისას, თუ სტატიის ავტორია ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთზე მეტი აკადემიური პერსონალი, ფინანსური ჯილდო თანაბრად გადანაწილდეს მათ შორის.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

4. **სადისერტაციო კომისიის დაკომპლექტების საკითხი**

პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით სადისერტაციო კომისიაში გათვალისწინებულია მინიმუმ 7 წევრი. მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო 1-2 წევრმა ვერ მოახერხოს დაცვაზე დასწრება; აქამდე არ გვქონია ასეთი შემთხვევა, მაგრამ არაა მიზანშეწონილი დაცვა კომისიის, მაგალითად, 5 წევრის წინაშე წარიმართოს. ამისათვის საჭიროა გვყავდეს ან სათადარიგო კანდიდატები ან დაცვის კომისიაში 7-ზე მეტი წევრი შევიყვანოთ.

აზრი გამოთქვეს: დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ასოც. პროფესორმა თ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ ძალიან რთული იქნება დისერტაციის სფეროში სპეციალისტების მოძიება და 7-ზე მეტი ისეთი კომისიის წევრის დასახელება, ვისაც შესაბამის სფეროში აქვს პუბლიკაციები გამოქვეყნებული. საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი სჯობს განხილული იყოს დარგობრივი კომისიის მიერ.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად და დაევალოს დარგობრივ კომისიას განიხილოს სადისერტაციო კომისიის წევრების რაოდენობის საკითხის განხილვა.

5. **ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის დირექტორის არჩევა**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ უკვე დაარსდა ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, რომლის არსებობაც ძალიან მნიშვნელოვანია ფაკულტეტისათვის. მან საბჭოს შესთავაზა ცენტრის დირექტორის კანდიდატურა - ასოცირებული პროფესორი მაია რობაქიძე და დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭი უყარეს წინადადებას: ფსიქოლოგიური კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის დირექტორად არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი მაია რობაქიძე.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ფსიქოლოგიური კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის დირექტორად არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი მაია რობაქიძე.

6. **დაწყებითი განათლების სტუდენტებისთვის 4 კვირაზე ინდივიდუალური გეგმის დამტკიცება; მულტილინგვური განათლების სტუდენტებისათვის ინდივიდუალური გეგმის დამტკიცება 2 კვირაზე** *(დაწყებითი განათლების (31 დეკემბერამდე) და მულტილინგვური განათლების (13 დეკემბერამდე).*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწყებითი განათლებისა და მულტილინგვური განათლების საბაკალავრო პროგრამებს ეწურებათ აკრედიტაციის ვადა. აღნიშნული პროგრამის სტუდენტები რომ არ დაზარალდნენ, არ შეილახოს მათი უფლებები და მოახერხონ სწავლის დასრულება აკრედიტაციის ვადის გასვლამდე, მათთვის შემუშავდა ინდივიდუალური სამუშაო გეგმა-გრაფიკი: დაწყებითი განათლების პროგრამისთვის - ოთხკვირიანი ხოლო მულტილინგვური განათლების პროგრამისთვის კი - ორკვირიანი. ამ გადაწყვეტილებისათვის კი საჭიროა, ფაკულტეტის საბჭოს მხარდაჭერა, იმისათვის, რომ სტუდენტებმა დროზე ადრე დაასრულონ სემესტრი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დააყენეს კენჭისყრაზე.

კენჭი უყარეს წინადადებას: დაწყებითი განათლების სტუდენტებისთვის დამტკიცდეს ოთხკვირიანი ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკი.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს წინადადებას: მულტილინგვური განათლების სტუდენტებისათვის დამტკიცდეს ორკვირიანი ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკი.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის დამტკიცდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-გრაფიკი 31 დეკემბრამდე; მულტილინგვური განათლების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის დამტკიცდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-გრაფიკი 13 დეკემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია